

საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოს საგადასახადო კოდექსის უახლესი ცვლილებები

საქართველოს საგადასახადო კოდექსში
01.06.2016 - დან 13/09/2016 მდე შევიდა
შემდეგი ცვლილებები:

- 2016 წლის 08 ივნისის ცვლილებები -
დოკუმენტის ნომერი: 5382-III; 5406-
III;5372-III;5387-III;
- 2016 წლის 22 ივნისის ცვლილებები -
დოკუმენტის ნომერი: 5445-III; 5491-III;
5503

ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან
გამოვყოფთ რამოდენიმეს, რომელიც ჩვენი
აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია:

1. კანონპროექტის შესაბამისად მობილური
საკომუნიკაციო მომსახურებისათვის
დაწესებული აქციზის არსებული 8%-
იანი განაკვეთი შენარჩუნდება 2017 წლის
1 იანვრამდე, ხოლო 2017 წლის 1
იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე
განაკვეთი შემცირდება 3 პროცენტამდე.
2018 წლის პირველი იანვრიდან
მობილური საკომუნიკაციო

მომსახურების გაწევა აქციზით აღარ
დაიბეგრება.

2. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში
დასაქმებული პირისათვის სასოფლო-
სამეურნეო კოოპერატივებისათვის
საშემოსავლო/მოგების და ქონების
გადასახადში არსებული საგადასახადო
შეღავათები გრძელდება დამატებით 1
წლის ვადით 2018 წლის 1 იანვრამდე.

2018 წლის 1 იანვრამდე ასევე გრძელდება
არსებული საგადასახადო შეღავათები,
რომელიც დაკავშირებულია: სასოფლო-
სამეურნეო კოოპერატივის წევრის მიერ ამ
კოოპერატივისაგან მიღებული
დივიდენდების გადახდის წყაროსთან არ
დაბეგვრასთან და ამ დივიდენდების
მიმღები პირის მიერ ერთობლივ
შემოსავალში არ ჩართვასთან.

1 წლის ვადით 2018 წლის 1 იანვრამდე
ასევე გაგრძელდა არსებული
საგადასახადო შეღავათი, რომელიც ეხება
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის
საკუთრებაში არსებული, სასოფლო-
სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული
ქონების (გარდა მიწისა) და ამავე
საქმიანობისათვის მასზე ლიზინგით
გაცემული მოძრავი ქონების, ქონების
გადასახადისაგან განთავისუფლებას.

3. დღგ-სგან თავისუფლდება ყოფილი
კრედიტორის მიერ ფიზიკური
პირისთვის საცხოვრებელი ბინის/სახლის
მიწოდება, თუ მიმწოდებელს ეს ქონება
ამავე ფიზიკური პირისგან მიღებული
აქვს სახელშეკრულებო ვალდებულების

შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან ამავე ფიზიკური პირის ფულადი ვალდებულების გადახდევინების მიზნით შეძენილი აქვს აუქციონის ან სხვა წესით;

4. საშემოსავლო გადასახადისგან განთავისუფლება ფიზიკური პირის მიერ კომერციული ბანკისგან ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციისგან 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით უიმედო სესხად კლასიფიცირებული სასესხო ვალდებულების პატიების შედეგად მიღებული სარგებელი.

აგრეთვე, დადგინდა რომ კომერციული ბანკი და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია ფიზიკური პირისთვის (ნაპატიები) სასესხო ვალდებულების ღირებულება გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომერციული ბანკის მიერ: ა) შესაბამისი პერიოდისათვის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითულია სესხის შესაძლო დანაკარგების რეზერვი; ბ) ერთობლივ შემოსავალში შესაბამისი პერიოდისათვის არ არის შეტანილი სესხზე დარიცხული პროცენტი და ჯარიმა.

ცვლილებები გადასახადების ადმინისტრირების შესახებ ბრძანებაში #996

გადასახადების ადმინისტრირების შესახებ ბრძანება 996-ში 01.06.2016 - დან 13/09/2016 მდე შევიდა ექვსი ცვლილება:

ჩვენ ცვლილებებიდან გამოვყოფთ რამდენიმეს, რომელიც ჩვენი აზრით, წარმოადგენს მნიშვნელოვან ცვლილებას.

1. განიმარტა თუ როგორ უნდა აისახოს ზედნადებში ხე-ტყის გადაზიდვა/ტრანსპორტირება.
2. განისაზღვრა თუ რა დოკუმენტები უნდა წარადგინოს საგადასახად ორგანოში იმ ფიზიკურმა პირმა რომელიც ფიზიკური პირი, რომელიც საცხოვრებელ ფართობს აქირავებს საცხოვრებელი მიზნით და არ ახორციელებს ამ შემოსავლიდან გამოქვითვებს და იბეგრება 5 %- ით.
3. 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით: ეკონომიკურ საქმიანობას არ განეკუთვნება ფიზიკური პირის მიერ ყოველი უწყვეტი 48 თვის განმავლობაში მის საკუთრებაში არსებული 4 საცხოვრებელი ბინის (სახლის) (მათ შორის, მშენებარე) მასზე დამაგრებული მიწით რეალიზაცია;

სხვა საკანონმდებლო ცვლილებები

საქართველოს ახალი კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის 2016 წ. 8 ივნისის განკარგულებით (N5386-II), ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

კანონის რეგულირების სფერო მოიცავს საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების, მმართველობის ანგარიშგების და ამ კანონით გათვალისწინებული სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის, პროფესიული სერტიფიცირების, აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელების და მისი ხარისხის უზრუნველყოფის, აღნიშნულ სფეროებზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების და პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივ საფუძვლებს;

მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის ახალი სახელმწიფო პროექტი

სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, 2016 წლის 01 აგვისტოდან საჯარო რეესტრში ამოქმედდა უძრავი ქონების რეგისტრაციის ახალი რეგულაციები, რომელთა მეშვეობით მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის პროცედურა უფრო მარტივი და ხელმისაწვდომი, ხოლო საკადასტრო მონაცემები უფრო ზუსტი და სრულყოფილი გახდება. აღნიშნული რეგულაციები (კანონი) იმოქმედებს 2018 წლის 01 ივლისამდე.

პროექტით გათვალისწინებული მიწის რეგისტრაციის თავისებურებები და შედეგები მდგომარეობს შემდეგში:

- საპილოტე პროექტის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის მეორე დადგენილ 12 დასახლებაში მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლებისა და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია პროაქტიულ საფუძველზე, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მაქსიმალურ ჩართულობასა და საჭირო დოკუმენტაციის სახელმწიფოს ინიციატივით მოძიებას.
- საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირსა და მოსარგებლეს შორის ფორმის დაუცველად (ზეპირად ან წერილობით)



დადებული გარიგების არსებობის ფაქტი დგინდება მხარეებს შორის გაფორმებული წერილობითი შეთანხმებით, რომელზედაც მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობას ადასტურებს ნოტარიუსი. ამგვარი შეთანხმებისა და საკადასტრო აზომვითი ნახაზის წარდგენა წარმოადგენს უძრავი ქონების რეგისტრაციის საფუძველს, რაც საგრძობლად ამარტივებს რეგისტრაციის პროცედურას.

მნიშვნეოვანი სასამართლო პრაქტიკა

თბილისის სააპელაციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განჩინება გამოიტანა 2016 წლის 17 ივნისს. განჩინებაში გამახვილებულია ყურადღება შემდეგ საკითხებზე: ელექტრონულ აუქციონზე გამარჯვება, ოფერტი, მოწვევა ოფერტზე, მესაკუთრედ ცნობა.

განჩინებაში ასევე განმარტებულია, რომ უძრავი ქონების უპირატესი შესყიდვის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაშია იურიდიული ძალის მქონე, თუკი იგი სათანადო წესით არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამგვარი უფლება არ არსებობს. სასამართლოს განმარტებით, კერძო სამართლის სუბიექტის მიერ უძრავი ქონების ელექტრონულ აუქციონზე ნებაყოფლობით გამოტანა არ ავალდებულებს მას მიჰყიდოს ქონება აუქციონში გამარჯვებულ პირს.

განჩინებაში აღნიშნულია, რომ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ ელექტრონულ აუქციონზე ფიზიკური ან იურიდიული პირის უძრავი ქონების გასხვისების დროს სააგენტოს მიერ ხორციელდება მხოლოდ ქონების განკარგვის ხელშეწყობა.

რაც შეეხება საკუთრების გადაცემის სამართლებრივ საფუძველს, ამისათვის აუცილებელია მხარეთა შორის კანონმდებლობით დადგენილი ფორმით



დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. ხოლო ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა აუქციონში გამარჯვების შესახებ არ წარმოადგენს საკუთრების უფლების გადაცემის საფუძველს. ელექტრონულ აუქციონზე განთავსებული ქონება შეიძლება განიხილოს, როგორც მოწვევა ოფერტზე.

აღნიშნული განჩინება საქმეზე №28/5921-14 საჯაროდ ხელმისაწვდომია.

წინამდებარე წერილი შეიცავს ინფორმაციას საგადასახადო და საკანონმდებლო, ასევე, სასამართლო პრაქტიკის სიახლეების შესახებ. ჩვენ გამოვიყენეთ ყველა ძალისხმევა, რათა მოგვეწოდებინა სრული და ზუსტი ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, **ბეიკერ ტილი ჯორჯია** არ იძლევა გარანტიას, რომ მოცემულ წერილში არ იქნება უზუსტობები. წინამდებარე მასალა არ არის გათვლილი და არ უნდა იქნას მიღებული როგორც სამართლებრივი ან საგადასახადო რჩევა. ნებისმიერი შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ ჩვენს პროფესიონალებს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ბეიკერ ტილი ჯორჯია, 44, კოტე აფხაზის ქუჩა (მეიდანის პალასი) 0105, თბილისი.
(+ 995 32) 2438 999
office@bakertillygeorgia.ge
www.bakertillygeorgia.ge

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არის Baker Tilly International -ის დამოუკიდებელი წევრი. Baker Tilly International Limited ინგლისური კომპანიაა. Baker Tilly International არ უწევს პროფესიულ მომსახურებას კომპანიებს. ქსელის ყველა წევრი ფირმა არის დამოუკიდებელი იურიდიული ერთეული. შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არ არის Baker Tilly International -ის აგენტი და მას არ აქვს უფლებამოსილება დააკვაშიროს რაიმე თავის ქმედებასთან Baker Tilly International ან იოქმედოს Baker Tilly International -ს სახელით. არც Baker Tilly International, არ შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია და არც Baker Tilly International ქსელის რომელიმე სხვა წევრი არ არის რაიმე სახით პასუხისმგებელი ერთმანეთის ქმედებებზე ან შეცდომებზე. Baker Tilly- ის სახელი და მასთან ასოცირებული ლოგო გამოიყენება Baker Tilly International Limited მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.